

საქართველო

ეროვნული თავისუფლების ბრძოლა - პიროვნული თავისუფლებისათვის
 პიროვნული თავისუფლების ბრძოლა - პიროვნული თავისუფლებისათვის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ორშაბათს და ხუთშაბათს **№119 (1629)** 29.XII-1997გ.-4.I-1998გ. **ფასი 50 თეთრი**

წაიკითხეთ, ხასიათზე მოხვალთ!
ანზისაბჭოთა საღაპო
საბჭოთა სუბ-ში
 მესამე გვერდი

ბილოსავით
ახალ წელს!

პარდიკო ჯარს
პირ ააშენებს

„სახალხო პარტიამ“ (და არა მარტო მან) მიზანში საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ვარდიკო ნადიბაიძე ამოიღო. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა პრესკონფერენციაზე „სახალხოელმა“ ზაზა პატარიძემ, რომლის განცხადებითაც ვარდიკო ნადიბაიძე ჯარს ვერ ააშენებს და თუ ააშენებს, ეს იქნება არა სახელმწიფოებრივი ინტერესის, არამედ კერძო პირის ან კლანის მოსახურე არმია.

პატარიძის თქმით, პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის უდაოდ დიდი ნაბიჯია მოლაპარაკებები, მაგრამ ამის პარალელურად უნდა არსებობდეს შეიარაღებული ძალაც, რომელსაც ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში გამოიყენებს, მითუმეტეს, როცა საკითხი ტერიტორიულ მთლიანობას შეეხება. სამხედრო ძალის გარეშე ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია.

„მე არ მინდა საქართველოში შეიარაღებისკენ მოუწოდო, მაგრამ სამხედრო აღმშენებლობის პროცესის გაძლიერება აუცილებელია. თუმცა, ნადიბაიძის ხელში ამ პროცესს დასრულება არ უწერია“ - აცხადებს ზაზა პატარიძე. მისი თქმით, პარლამენტს არანაირი მექანიზმი არ გააჩნია მინისტრის მოხსნისა, ეს შეიძლება მოხდეს იმპიჩმენტის გამოცხადებით და პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. თუმცა, როგორც პატარიძე აღნიშნავს, საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ვარდიკო ნადიბაიძე არეგულირებს რუსეთთან ურთიერთობას. (გვა)

ვასხადაბთ
კონკურსს
ჯერარნახულს,
ჯერარბაბონილს!

5

გამომკალველი
დააკაპუს

1997 წლის 25 დეკემბერს საქართველოს ტელე-რადიოკორპორაციის ცენტრალურ სააპარატოში დარეკა უცნობმა მოქალაქემ, რომელმაც კორპორაციის ხელმძღვანელობისაგან 50000 ლარი მოითხოვა. ანონიმური ზარის ავტორი დაიშურა, რომ უარის შემთხვევაში აფეთქებდა მეტროპოლიტენის სადგურებს: „დედისს“, „ახმეტელის თეატრს“ და „მარჯანიშვილს“. მისივე განცხადებით მეტროსადგურები უკვე დაანადგურებული იყო.

ანონიმური ზარი ანალოგური მთხოვნებით კვლავ განმეორდა.

ტერორისტულ-დივერსიული აქტების თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის, უშიშროების სამინისტროს ქალაქ თბილისის დეპარტამენტისა და სხვა შესაბამისი სამსახურების მიერ ოპერატიულად ჩატარდა კომპლექსური ღონისძიებები, რომლის შედეგად ფულის გამოძიების ფაქტზე დაკავებული იქნა პირადი ქონების ქურდობისათვის ადრე ორჯერ ნასამართლვე დემურ თედორაძე. აღსანიშნავია, რომ თედორაძე ბოლო სასჯელიდან ერთი თვის წინ იქნა გათავისუფლებული ამინსტიით. დაკავებულმა თედორაძემ აღიარა მის მიერ საქართველოს ტელე-რადიოკორპორაციაში ანონიმური ზარების მესვერით მეტროს სადგურების აფეთქების მუქარით ფულის გამოძიების ფაქტი. მისივე აღიარებით მას მეტროს სადგურები სინამდვილეში არ დაუნადგმავს. ეს იყო მხოლოდ შანტაჟი. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა სპეციალური შემოწმების შედეგად დაადასტურეს, რომ არცერთი მეტროს სადგური დაანადგმული არ ყოფილა. აღნიშნულთან დაკავშირებით სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საერთაშორისო ბრძოლის დეპარტამენტში აღიარა სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობს გამოძიება. (გვა)


აყაფდა
მართული
კატა

3

დეპუტატებო,
ან კი თქვენ...

ალექსანდრა ჭაჭიას
დამაინტრიგებელი
წერილის
დასასრული

4



გაცხადებთ კონკურსს ჯერარნახულს, ჯერარგაგონილს!



დეკუბატი, ან კი თქვენ...

ძვირფასო მკითხველო, ამ ჩვენსა დეკუბატივსა წინასწარჩვენო დაპირებები, ვაბლახ, რომ ვერ უბვირულეს. ამ ახალ წელსაც კვლავ გასურებელი უიშით და კიდევ უფრო გასურებელი იმედით ვხვდებით, იმედით, რომელიც ჰორიზონტზე გამოჩნდა...

ღმერთმანი, ისე, ენერგიული კი არიან. ისე, ისე ენერგიული, რომ კოლიტიკის ასპარეზი არც კი ყოფნით. ამიტომ გვირი თავის მტკრების შემდეგ გადავწყვიტეთ მათ ენერგიას ახალი საღინარი გამოგუქვენო - ასპარეზი კოეფიისა.

სწორედ დროც იყო და გარემოებაც მოითხოვდა: ჰვეყანა რომ ვაი-ვაის იქახის, ამათ კიი-კუუს ხეები უმუწყონ.


თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გადმოეფინება მათ მიერ ერთმანეთზე შემთხვეული ეპიგრაფებიც. უიგადავიბ სერიოზული ლირიკაც გამოგვება, უიგადავიბ ღრმად სერიოზულ გალაღმებსაც მოვებით.

კონკურსი გამარჯვებული სამეული დაჯილდოვდება დიდი ფულით და სიბელებით.

სიბელებს ჩვენ ვვირღვებით, დიდ ფულს კი კონკურსში დამარცხებულებს უგვებროვებინებთ.

ჰა, ბურთი და ჰა, მოქლანი.

კირველ სიტყვას ვაქლევთ დეკუბატი გერმანე ფაცაცინას სერიოზულ ლირიკას:



გერმანე ფაცაცინა



ილია

ილიას რომ ჰქონდა დარდი, გამოკვება რამდენ ჰართვალს? ჰა, ერთი, ორი... ათი, მორჩა და მეტი არ ჩანს... არც მაშინ იყო ათი, თითონ იყო და მარტო, ჰოდა, ტრაგიკულ კაცად, ეს კაცი მიტომ ღარჩა!

თვითმკვლელი...

თვითმკვლელი საღდაა, თვითმკვლელი არ არის, მას მე ვკლავ, მას შენ კლავ, რა ცოდო გვაქვს და, რომ გვითხრან, მკვლელებო!, დაღებით ამ მხარეს, ყოველი ჩვენგანი იმ მხარეს გასწვდდა...

მოყვასს

ერთი ხანია არ გტკივილობ კეთილყოფილო, შენც ერთი ხანი ამრეზით და გრავით მიმეგრდი, მომბერებება სამტრო სივრცეს უშუქი მოვფინოთ, რამეთუ კარგად გავითვალეთ მტრობის მიზეზი. რა დაგვემართა, რად გავწირეთ არბასაწირი, რა დაგვემართა, მემართლები ოთხივ მხარიდან, რა დაგვემართა, მეც დავლევე ყველა ნაკირი, ეს რა დაგვემართეს, მე სცილს ვარ, შენ კი - ხარიგდა... რაკი გაწირვა ერთმანეთის გვიჩანს ადვილი, ჩვენც დავასრულოთ, ვიდრე მტრობა გაბვილარიგდა.



რას ჩუქნიან პრეზიდენტებს (თუნდაც ახალ წელს)



ზოგჯერ სუვენირების ჩუქება მიზანიმართულ ხასიათს ატარებდა, ამა თუ იმ ქვეყნის ხელმძღვანელების პოლიტიკური ხასიათის ცვლილების გათვალისწინებით. სუვენირების სახელით ჩუქნიდნენ ავიაღიანებებს, გემებს და ავტომობილებს.

- საპასუხოდ რა საჩუქრებს ჩუქნიდნენ საბჭოთა ხელმძღვანელები საჩუქრად ძირითადად ავტომობილებს იღებდნენ. ლიბრუჩევის, მაგალითად, გაუჭირდა უარის თქმა ამერიკელ ჩქაროსნულ კორპორაციაზე, ისე ამერიკელებს, "შუეროლეს" და

ჩუქნიდნენ. ეს ნაკეთობები დღესაც ხაზინაში ინახება, ხოლო ზოგიერთი რევოლუციის მუზეუმშია გამოფენილი.

- ხშირი ფაქტია, რომ რაღაც მაქსიმუმს უსვარდა მიწინააღმდეგე, თუ რომელი ნივთი "გაძვირდა კალიბრი"...

- ეს მხოლოდ ჭორებია რაისა მაქსიმუმსა და სხვა ტაქტიკური ადამიანია. ის არ მისცემდა თავს ამის უფლებას. სხვა საქმეა, როცა მან მიხეილ სერგეივიჩს უთხრა, თუ რომელი საჩუქარი უნდა ეჩუქებინათ სტუმრისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ მის ნატივს გემოვნებაზე მეტყველებს.

- მართალია, რომ კვამლია არაფერი, მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელებისთვის მიწინააღმდეგე საჩუქრებში რაიმე სიურპრიზი ხომ არ იყო?

- რა თქმა უნდა, და არა მხოლოდ კვამლი. ყოველ განვითარებულ ქვეყანაში საჩუქარი გადაეცემა ადმინისტრაციულ სამსახურს. განსაკუთრებული თავის ტკივილის მიზეზი იყო ე.წ. "სპონტანური" საჩუქრები, რომლებიც განვითარებული ქვეყნების ლიდერების მიხრიდან მოდიოდა. ამ საქმეში პირველი პოზიციები არაბულ ქვეყნებს ეკავათ, რომელთაც უცნაური ჩუქნილობა აქვთ, საუბრის დროს მართლაც დამასკური ხმალი თანამოსაუბრეს.

- თუ ითვალისწინებთ

საჩუქრის არჩევა სახუმარო საქმე არ გახლავთ. ყოველ ჩვენგანს კარგად მოეხსენება, თუ რა უძლიერესი თანხები უმჯობესეს "სუვენირების ნიშანს". განსაკუთრებით კი ისეთ დღეებში, როგორც ახალი წელია.

აკმაღარაღვს თითქმის ყოველი დღე უწყის საჩუქრის არჩევად. ეს მისი პროფესიული მოვალეობის ძირითადი ნაწილია, იმ იტომ, რომ იგი გახლავთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

- რუსის წარმოშობა სახელგანთქმული ოფიციალური სტუმრების დასახრებების ტრადიციისა?

- ასეთი ტრადიცია დიდი ხანია არსებობს. მოსკოვის სამეფოს საელჩო რიტუალის მიხედვით, სტუმრები არასდროს მოდიოდნენ ხელვარდელი როგორც წესი. მათ უნიკალური ნივთები მოქონდნენ საჩუქრად: ალმასებით მოჭრილი ვიდეორგანი, ნივარებით მოჭრილი ვერცხლის თასი და სხვა. მრავალი ამ ნივთთაგანი დღეს იარაღის პალატაშია გამოფენილი.

არც მეფე უშეგნებდა მათ ხელვარდელს. თუ იგი კმაყოფილი იყო, ბრძანებდა: ავტომოს სტუმრის ბეჭედი მრავალი და ძვირფასი ქსოვილები, მისი საჩუქრის მიხედვით.

საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული ვიზიტორებისათვის სუვენირების შერჩევა ევალებოდა საქვარიდარსებულ შექმნილ დამსახურებულ კომისიას. მხედველობაში მრავალი რამ უნდა ყოფილიყო მიღებული: დიპლომატიური ავტორიტეტი, პრესასტრუქტურის პოზიცია, სსრკ საგარეო პოლიტიკური ინტერესებისათვის მხარდაჭერა.

«Spice Girls» დაუნათესაველ «მანჩესტერ იუნაიტედს»

ბოჰუმარული გგუფის წევრმა ვიქტორია ადამსმა გამოაცხადა თავისი ქორწინების შესახებ არანაკლებ პოპულარულ საფეხბურთო გუნდის წევრთან.

ჯერჯერობით მკაცრი მუსიკალური კრიტიკოსები „Spice Girls“-ს ამუშავებენ, და სულ ტყუილად, გოგონებს ეველაფერი კარგად მისდით.

ახალ წელს ჯინჯერი, პოში, ბები და სკერი შესახებ შნავ განწყობაზე ხედებიან. ამისათვის მათ ორი მიზეზი აქვთ. ჯერ ერთი ერთდროულად მათი ორი საშობაო სინგლი ბრიტანული პიტ-პარადის სათავეში მოექცა, რაც 32 წლის განმავლობაში არ მომხდარა, ღებენდარიული „ბითლზის“ შემდეგ! და მთავარი - 23 წლის ვიქტორია ადამსი (ხედმეტსახელად „პოში“, რაც ნიშნავს „არისტოკრატს“) მალე ცოლად გაჰყვება ნომერ პირველ ინგლისელ სახიბოს - „მანჩესტერ იუნაიტედის“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის დევიდ ბექჰემს. ქორწინი ნავარაუდევია თებერვლისთვის, სანამ „Spice Girls“ საზღვარგარეთულ ტურნეში არ წასულა, ხოლო ბექჰემი კი, - მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთში.

ასე რომ, ფეხბურთელებო, ჯერ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვეთ და შემდეგ კი ცოლის მოყვანაზე იფიქრეთ! ისე კი ახალ წელს გილოცავეთ!

თუ სანტა-კლაუსი დათვრება, დააჯარიმებენ

ავსტრალიის ქალაქ ნიუკასლის თავკაცები შიშით მოვიდნენ თოვლის ბაბუების „საახალწლო საჩუქრებს“.

აი, უკვე მეეთრთმეტედ ავსტრალიელი სანტაკლაუსები იკრიბებიან, რათა ხალხს მიულოცონ და თვითონაც გადაჰკრან.

გასულ წელს ერთდროულად ექვსი ათასი თოვლის ბაბუა დადიოდა ნიუკასლის ქუჩებში, რომლებსაც ხურჯინში კანფეტებისა და ტკბილეულის გარდა... სპორტიანიც დაჰქონდათ „გასათბობად“, რა თქმა უნდა. საქმე იმით დამთავრდა, რომ „გამხიარულებულმა“ სანტაკლაუსებმა ერთგან ავეჯი დაამტვრიეს, სხვაგან ბოთლები კედლებს ანარცხეს და ზოგან, ვაი სირცხვილო, ბუნებრივი მოთხოვნილება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოიშორეს. ამ უმსგავსობის მოწმე ათასობით წესიერი მოქალაქე გახდა.

ამჯერად ქალაქის თავკაცებმა გადაწყვიტეს, თითოეული „ზომას გადასული“ სანტაკლაუსი 360 დოლარით დააჯარიმონ. საზინასაც შეემატება და „ბაბუებიც“ ჭკუას ისწავლიან!

იმიტგადაწყვეტილ კლარკს. შეუპოლია ქინების გაყიდვა

მანჩესტერ სიტის მენეჯერი ფრენკ კლარკი არ გამოიცხავს, რომ იგი გაყიდვის კლუბის კერძს გიორგი ქინქლაძეს.

კლარკი უიმედოდ ეძებს პრობლემის გადაწყვეტის გზებს, რომელიც სიტის მეორე დივიზიონის ფსკერისაკენ მიაქანებს. 8 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეფასებული ქინქლაძის გაყიდვა მისი საბოლოო არჩევანი ხდება.

„ჩემთვის ძალზე არასასურველი იქნება ქინქლაძის გაყიდვა, მაგრამ მე რომ ვიციდე, საფეხბურთო კლუბისათვის ეს სასიკეთო ცვლილებებს მოიტანს ფინანსურ საკითხში, მე ამას ვიზამ“, - ამბობს კლარკი.

„მე მესმის, თუ რას გრძნობს ხალხი მის მიმართ, მაგრამ მე მაინც არ შემიდნია სხვანაირად მოვიქცე“, - აღნიშნა მან. „The Mirror“

ვასო ღავაძე (მამა იონანე)

მონატრების ათი წელი გაიდა, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი. ვასოთი მინდა მოგისხენო, რადგან შენთვის სასულიერო სახელით არასოდეს მომიმართია. გამორჩეული რწმენის და ბუნების იყავი, მხოლოდ 27 წელი იცხოვერე ამ ცოდვილ მიწაზე და ბევრი რამ გამოხატე შენს თავზე, უმეტესად სიმწარე და შესაბამის მოყვანისა.

ჩვენმა კეთილმა დედამ ვერ აიტანა უშენობა და ზუსტად სამი წლის თავზე შენს გვერდით დაიდო საშუალო ბინა, გაუღს უკლავდა შენი სულიერი მეგობრების დაღატი.

შენს სახელზე დისშვილი მოგვევლინა - პატარა ვასიკო და მასში ვხედავთ შენს ბავშვობას.

დიდხანს გაჰყვება იტრიის მონასტრის მესვეურებს შენი ცოდვა, რადგან შენს მკვლელობას სხვა სარწული დაუდეს. შენი ახლობლები ვლოცულობთ, ჩვენო ამქვეყნად გაუხარებელი და ნაწამბო.

ვასო (მამა იონანე) დავაძის და დედა მარიაშის სული იმქვეყნად ყოფილიყოს სასუფეველში. თქვენ კი ჩვენთვის ილოცეთ.

მამის სახელით როგან ღავაძე

